


# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## (ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

*(სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლედგენეს საჯარო სკოლა)*

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები** |
| **თავმჯდომარე:** |
| ნანა მონიავა |
| **წევრ(ებ)ი:** |
| ვერა ყურულშვილი |

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

## ნაწილი I. შესავალი

***<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>***

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლედგებეს საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | სსიპ |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 235444382 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლედგებე |
| ფაქტობრივი მისამართი | მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლედგებე |
| საფოსტო ინდექსი | 3100 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | https://skolebi.emis.ge/ |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | ledgebe@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში) | 551091280 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი) | 2025 წლის 05 ნოემბრის ბრძანება MES 4 25 0001528303 |
| ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში) | 2025 წლის 4 და 5 დეკემბერი |

## VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.*

მონიტორინგის ვიზიტი წარიმართა საქმიან და კეთილგანწყობილ გარემოში. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული ჰქონდა 2023 წლის ავტორიზაციის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები, რომელთა შესასრულებლად განახორციელა შესაბამისი აქტივობები.

ვიზიტის პერიოდში ჩატარდა გასაუბრებები სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან, რაც მიზნად ისახავდა სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ სათანადო ინფორმაციის მიღებას.

მონიტორინგის ბრძანების საფუძველზე შემოწმდა I, III და IV სტანდარტები.

## VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

| საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა |
|---|---|
| 154 | 71 |

## VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

## IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტის შემუშავების დროს მესამე სტანდარტთან მიმართებით დახარვეზებული იყო შემდეგი ინდიკატორები: N3.1.1.2, N3.4.1.1, N3.6.2.1.

არგუმენტირებული პოზიციისა და წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად ნაწილი ინდიკატორების სრულად დაკმაყოფილებეულია ( N3.1.1.2, N3.6.2.1.), ხოლო ერთი დაკმაყოფილებულია მეტწილად (N3.4.1.1).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების პერიოდად 2026 წლის 26 დეკემბერი.

ასევე სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის 05 დეკემბრის წერილი N1737508 რომლითაც მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დადგენის შესახებ. აღნიშნული საკითხის მოგვარებაც სკოლას განსაზღვრული აქვს 2026 წლის 26 დეკემბერი.

ექსპერტების მიერ გაზიარებული იქნა წარმოდგენილი პოზიცია, რის შედეგადაც სკოლაც მიეცა 2 რეკომენდაცია:

1. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა სკოლამ შეათანხმოს უფლებამოსილ ორგანოსთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2026წლის 26 დეკემრამდე.
2. სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 2026 წლის 26 დეკემბრამდე მოიპოვოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ **შეესაბამება**<br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 4.1**<br><br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)*[2]

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N3.4.1.1* | *სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; სკოლამ უნდა უზრუნველყოს: საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმის შემუშავება და უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოსთან შეთანხმება; დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ; შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება.* | 1. *საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა სკოლამ შეათანხმოს უფლებამოსილ ორგანოსთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2026წლის 26 დეკემრამდე.*<br>2. *სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 2026 წლის 26 დეკემბრამდე მოიპოვოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.* |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | |

[2] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

## V. რჩევები

*გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N...* | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

## *VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი* *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* | *შესრულების სტატუსი* |
|---|---|---|---|
| *ინდიკატორი N1.2.1.2.* | *სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს* | *სკოლამ საკუთარი მეთოდოლოგიის შესაბამისად უნდა გადახედოს სტრატეგიული განვითარების გეგმას და განსაზღვროს სტრატეგიული დაგეგმვის ვადით მისაღწევი მიზნები, მათ მისაღწევად რელევანტური ამოცანები და შესაბამისად შეიმუშაოს სტრატეგიის დანერგვის გეგმაც.* | *შესრულებულია* |

| | | | |
|---|---|---|---|
| | *მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;* | | |
| *ინდიკატორი N.1.2.1.3.* | *სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.* | *სკოლამ უნდა უზრუნველყოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცებაგანახლებული სტრატეგიული განვითარების გეგმისა და თვითშეფასების შესაბამისად.* | ***შესრულებულია*** |
| *ინდიკატორი N1.2.1.4.* | *სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.* | *სკოლამ სამოქმედო გეგმით უნდა უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების გეგმით დასახული მიზნებისა და ამოცანების ჩაშლა აქტივობებად და განსაზღვროს თითოეულის შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რეალისტური რესურსები.* | ***შესრულებულია*** |
| **სტანდარტი N3** | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | ***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*** | ***შესრულების სტატუსი*** |
| *ინდიკატორი N3.1.1.2.* | *სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლამ უნდა გადახედოს მეთოდოლოგიურ დოკუმენტებს და კონკრეტულ საკითხზე/პროცესზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრისას პასუხისმგებლობები გადაანაწილოს სკოლის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის შესაბამისად.* | *სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლამ უნდა გადახედოს მეთოდოლოგიურ დოკუმენტებს და კონკრეტულ საკითხზე/პროცესზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრისას პასუხისმგებლობები გადაანაწილოს სკოლის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის შესაბამისად.* | ***შესრულებულია*** |
| *ინდიკატორი N3.3.2.1.* | *სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. სკოლამ უნდა* | *სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. სკოლამ უნდა შეიმუშაოს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო* | *შესრულებულია* |

| | | | |
|---|---|---|---|
| | *შეიმუშაოს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების წესი/მექანიზმი.* | *საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების წესი/მექანიზმი.* | |
| *ინდიკატორი N3.4.1.1.* | *სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; სკოლამ უნდა უზრუნველყოს: საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმის შემუშავება და უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოსთან შეთანხმება; დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ; შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება.* | *სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; სკოლამ უნდა უზრუნველყოს: საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმის შემუშავება და უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოსთან შეთანხმება; დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ; შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება.* | *ნაწილობრივ შესრულებული* |
| *ინდიკატორი N3.6.3.1.* | *სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდის/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით სკოლამ უნდა უზრუნველყოს ვებგვერდის/ ვებგვერდზე საკუთარი გვერდის ფუნქციონირება.* | *სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდის/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით სკოლამ უნდა უზრუნველყოს ვებგვერდის/ვებგვერდზე საკუთარი გვერდის ფუნქციონირება.* | *შესრულებულია* |
| *ინდიკატორი N3.6.3.4.* | *სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;* | *სკოლამ ვებგვერდზე/ვებგვერდის შესაბამის გევრდზე უნდა განათავსოს ინფორმაცია ქართულ ენაზე.* | *შესრულებულია* |
| *ინდიკატორი N3.6.3.5.* | *ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე* | *სკოლამ ვებგვერდზე საჯაროდ უნდა განათავსოს შემდეგი ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი* | ***შესრულებულია*** |

| | | | |
|---|---|---|---|
| | *ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია* | *კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო მონაცემები.* | |

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

**1. სკოლის ფილოსოფია**

**1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები**

**1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლედგებეს საჯარო სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები

მისია: სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლედგებეს საჯარო სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს საუკეთესო განათლებას მზრუნველ და აკადემიური გამოწვევებით აღსავსე გარემოში, აძლევს შესაძლებლობას, მიაღწიონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს და გახდნენ ქმედითუნარიანი, დამოუკიდებელი, შემოქმედებითი, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე, გლობალური მოქალაქეები, ქვეყნის ინეტერესების, ტრადიციების და ღირებულებების მატარებელი პიროვნება, ასევე შევუქმნათ ინკლუზიური, მრავალფეროვანი, ინოვაციური და უსაფრთხო სასწავლო გარემო;

ხედვა: სკოლა 2030 წლისთვის იქნება ისეთი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც საგანმანათლებლო პროცესი ეფუძნება თანამედროვე სტანდარტებს, უზრუნველყოფს ისეთ გარემოს შექმნას, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის შესაძლებლობის, პოტენციალის განვითარებაზე.

ღირებულებები: კეთილსინდისიერება; მიუკერძოებლობა; მიღწევების აღიარება და პატივისცემა; გუნდურობა; ინოვაციური მიდგომებისადმი მუდმივი სწრაფვა.

სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლედგებეს საჯარო სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. დაწესებულების ფილოსოფიიდან გამომდინარე, სკოლაში შექმნილია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო. საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხო სოციო-კულტურული სივრცის შენარჩუნების მიზნით, სკოლა პერიოდულად ატარებს საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრებს მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლებისათვის.

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები კი ასახავს იმ ნაბიჯებს, რომელსაც სასკოლო საზოგადოება გადადგამს სკოლის განვითარებისა და მოსწავლეებისათვის კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის.

სკოლაში განხორციელებული პროექტები და სხვა არაფორმალური განათლების აქტივობები მიზნად ისახავს მოსწავლეებისა და თანამშრომლების სასკოლო ცხოვრებაში მაქსიმალურად ჩართვას; ასევე, თვალში საცემია მშობელთა მონაწილეობა და ჩართულობა სკოლაში და სკოლის ფარგლებს გარეთ გამართულ ღონისძიებებში.

დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები და დასაქმებული პირები უზრუნველყოფენ უსაფრთხო გარემოს შექმნას და წესრიგის დაცვას კანონმდებლობისა და სკოლის მიერ განსაზღვრული შიდა მექანიზმების შესაბამისად.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

დაწესებულებამ 2023 წელს გაიარა ავტორიზაცია ახალი სტანდარტებით. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, შემუშავებულია განახლებული ავტორიზაციის სტანდარტების დამტკიცებამდე, სკოლის დირექტორის და მასწავლებლების ჩართულობით.

დაწესებულებამ მოახდინა მისიის, ხედვის და ღირებულებების რევიზია, რის შემდეგაც უკეთ იქნა უზრუნველყოფილი სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესებთან და თემის საჭიროებებთან შესაბამისობა.

შესწავლილი დოკუმენტების მიხედვით (სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები, განხორციელებული გამოკითხვები და შესაბამისი ფორმები), მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და მისი წევრების უკუკავშირის გათვალისწინებით. სკოლის

დირექციასა და სტრატეგიული დაგეგმარების გუნდთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის ფილოსოფიის შემუშავება ძალზე საინტერესო პროცესი იყო. პირველ
რიგში, ამ მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოიცავს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრს. ჯგუფს ჰყავს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი; ჯგუფის წევრები არიან: საქმისმწარმოებელი, საგნობრივი კათედრების წარმომადგენლები და მოსწავლეები, რაც უზრუნველყოფს მაღალ ჩართულობას.
შემდგომ კი, შემუშავდა მისია და ხედვა საბოლოო სახით, რომელიც განხილული იქნა პედსაბჭოზე და დამტკიცდა დირექტორის ბრძანებით.
აღნიშნული პროცესები დადასტურებულ იქნა მშობლებთან და მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებთან გასაუბრებითაც.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება არსებული პრაქტიკით ხდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, როდესაც დამრიგებლები საინფორმაციო-საორგანიზაციო შეხვედრას ახორციელებენ მოსწავლეთა მშობლებთან, ასევე მისია და ხედვა განთავსებულია ფოიეში თვალსაჩინოდ, საინფორმაციო დაფაზე.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი სკოლის ცენტრალურ შესასვლელში. ისინი ასევე განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე.
მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლას აქვს აქტიური და მუდმივად განახლებადი ვებგვერდი, რომელზეც ხელმისაწვდომია ყველანაირი ინფორმაცია სკოლის შესახებ, მათ შორის მისია, ხედვა და ღირებულებები.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლედგებეს საჯარო სკოლის სახელწოდება შეესაბამება საქართველოს კანონს „ზოგადი განათლების“ შესახებ დადგენილ ნორმებს. საჯარო სკოლის შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გამოცემული ბრძანება განსაზღვრავს სკოლის ტიპს და სახელს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 2005 წლის 13 სექტემბერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №194, 2007 წლის 16 მარტი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.
- პირველი სტანდარტის სიტუაციური ანალიზი;
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სკოლის ვებ გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც  განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის მექანიზმებს და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

ავტორიზაციის დასკვნაში გაცემულია რეკომენდაციები პირველ სტანდარტთან მიმართულებით. მათ შორის, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სკოლამ საკუთარი მეთოდოლოგიის შესაბამისად უნდა გადახედოს სტრატეგიული განვითარების გეგმას და განსაზღვროს სტრატეგიული დაგეგმვის ვადით მისაღწევი მიზნები, მათ მისაღწევად რელევანტური ამოცანები და შესაბამისად შეიმუშაოს სტრატეგიის დანერგვის გეგმაც. აღნიშნული რეკომენდაციების შესასრულებლად, სკოლამ გადადგა შესაბამისი ნაბიჯები და წარმოადგინა პირველი სტანდარტის სიტუაციური ანალიზი, სადაც დეტალურად არის აღწერილი განხორციელებული აქტივობები.

შესწავლილი დოკუმენტების მიხედვით (სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები, სტრატეგიული გეგმის მეთოდოლოგია), სტრატეგიული გეგმა შემუშავებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და მისი წევრების უკუკავშირის გათვალისწინებით. ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა.

**ინდიკატორი  დაკმაყოფილებულია.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

ავტორიზაციის დასკვნაში გაცემულია რეკომენდაციები  პირველ სტანდარტთან მიმართულებით. სკოლამ უნდა უზრუნველყოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება განახლებული სტრატეგიული განვითარების გეგმისა და თვითშეფასების შესაბამისად.  სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება და გამომდინარეობს 2024-2030 შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

ავტორიზაციის დასკვნაში გაცემულია რეკომენდაცია სკოლამ სამოქმედო გეგმით უნდა უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების გეგმით დასახული  მიზნებისა და ამოცანების ჩაშლა აქტივობებად და განსაზღვროს თითოეულის შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რეალისტური რესურსები.დაწესებულების სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან. სამოქმედო გეგმაში, მიზნებისა და ამოცანების მიხედვით გაწერილია აქტივობები, შესრულებაზე პასუხისმგებელ პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესრულების ვადები, შესრულების ინდიკატორები და რესურსები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;

- 2024-2030წლების სტრატეგიული გეგმა;
- 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სამუშაო ჯგუფის შექნის ბრძანება;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;

- პედაგოგიური საბჭოს ოქმი.

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს; სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგს. ნათლად არის გამოკვეთილი სამეურვეო საბჭოს როლი მონიტორინგის პროცესში. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად, განსაზღვრულია მონიტორინგისა და შეფასების პერიოდულობა, საჭიროების შემთხვევაში, იგეგმება არაგეგმიური მონიტორინგიც.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლა ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას. მონიტორინგისთვის სკოლაში გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ხოლო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე (ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე), სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ივსება ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, კეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება.

მონიტორინგის ვიზიტის დროს, დაწესებულებამ წარმოადგინა სხვადასხვა პასუხისმგებელი პირების მიერ შემუშავებული ანგარიშები. წლის ბოლოს დაწესებულების მუშაობის ანალიზი და შეფასება ეყრდნობა კათედრის ხელმძღვანელების, საინფორმაციო მენეჯერის, დირექტორის ანგარიშებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას დაწესებულება უზრუნველყოფს სოციალური ქსელის, ვებ-გვერდების, საინფორმაციო დაფისა და სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრების მეშვეობით. წარმოდგენილია არა მარტო ანგარიშები, არამედ თითოეული განხორციელებული აქტივობის ამსახველი ინფორმაცია და ფოტო-მასალა.

მონიტორინგის ვიზიტის დროს, სასკოლო საზოგადოებასთან, მათ შორის, მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი აქტიურად ეცნობიან სკოლის ვებ-გვერდს, აქვთ სიღრმისეული ინფორმაცია დაწესებულების მიერ განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლას შემუშავებული აქვს შესაბამისი ფორმები, რის საშუალებითაც ხდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების თვისებრივი და რაოდენობრივი შედეგების აღნუსხვა. დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება სიტუაციური ანალიზის, პრობლემების იდენტიფიცირება, რომელზე დაფუძნებითაც იგეგმება შესაბამისი ჩარევები/აქტივობები. ანალიზის ეტაპზე განისაზღვრება სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობების შედეგების ანალიზი. ანალიზის საფუძველზე განხორცილდება მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება, სადაც გათვალიწინებული იქნება წინა წლის პრაქტიკა და შენიშვნები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;

- 2024-2030 წლების სტრატეგიული გეგმა;
- 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**
**3.1. პერსონალის მართვა**
**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის საშტატო განრიგი შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და მოიცავს შემდეგ თანამდებობებს: დირექცია - დირექტორი და ბუღალტერი, ადმინისტრაცია - საქმისმწარმოებელი და ბიბლიოთეკარი, ტექნიკური და სხვა მომსახურე პერსონალი - სკოლის ექთანი, დამლაგებელი და დარაჯი, მასწავლებელები.

024 წლის 11 იანვრის N2-6 ბრძანების საფუძველზე, სკოლამ შეიტანა ცვლილებები 2023 წლის 21 აგვისტოს N2-34 ბრაძანებაში დაამტკიცებულ სკოლის პერსონალის ფუნქციების, პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც მოიცავს როგორც სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა) ფუნქციების აღწერილობას, ასევე, კონკრეტულ თანამდებობაზე დასაქმებული პირების უფლება-მოვალეობებს. კერძოდ, დირექტორის, ბუღალტრის, საქმისმწარმოებლის, ბიბლიოთეკარის, სკოლის ექიმის, დამლაგებლის, დარაჯის. გარდა ამისა, სტატუსების შესაბამისად, სკოლის პედაგოგების უფლებამოსილებას და ვალდებულებებს. აღნიშნულ კომპონენტთან დაკავშირებით გაცემული იყო რეკომენდაცია, რაც სკოლამ სრულად გაითვალისწინა და მოიყვანა შესაბამისოაში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

დაწესებულებაში არსებული სტრუქტურული ერთეულების მკაფიოდ გაწერილი ფუნქცია-მოვალეობები ხელს უწყობს პროცესების ადმინისტრირებას. სკოლა იყენებს გუნდური მუშაობის პრინციპებს. მონიტორინგის ვიზიტის დროს თითოეულ საკითხზე სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლისაგან ვიღებდით ინფორმაციას, რაც იმას ადასტურებდა რომ გააზრებული აქვთ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები.

სკოლის პერსონალის ფუნქცია-ვალდებულებების დოკუმენტში III თავის მე-10 პუნქტში გაწერილია „4. გარდა 3.1-3.13 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა, **წამყვანი მასწავლებელი ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე პუნქტის 4.1.-4.8 ქვეპუნქტებით განსაზღვრული მინიმუმ ოთხი ფუნქცია, რომლებიც დაზუსტდება მასწავლებელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით“, აღნიშნული საკითხი არ იყო** ასახული შრომით ხელშეკრულებებში. თუმცა არგუმენტრირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ გაიზიარა აღნიშნული ხარვეზი და წარმოადგინა ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები „შეთანხმება“ დანართის სახით, რითაც უზრუნველყოფილია წამყვანი მასწავლებლის შესაბამისი ფუნქცია მოვალეობები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის პერსონალის ფუნქციების, პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ბრძანება N2-6, 11.01.2025).
- შეთანხმება (ხელშეკრულება)

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც შედგება შემდეგი თავებისაგან: პოლიტიკის მიზანი და გამოყენების სფერო; პოლიტიკის ამოცანები; ღირებულებები; ადამიანური რესურსების მართვის ციკლი და სტრატეგია; დაწესებულების ადამიანური რესურსი; სამუშაო აღწერილობა; კადრების მოზიდვა და შერჩევა; მასწავლებლის შერჩევა; კონკურსის გამოცხადება; კომისიის შექმნის წესი და საქმიანობა; კონკურსის ეტაპები; კონკურსის ჩაშლის საფუძვლები; საპრეტენზიო კომისია; პერსონალის კვალიფიკაცია; ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია; შესრულებული სამუშაოს შეფასება; თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება; თანამშრომელთა მოტივაცია; შრომითი ურთიერობის შეწყვეტა. სკოლის დოკუმენტაციის შესწავლით (შესწავლილი იყო სამუშაო აღწერილობები, კონკურსების გამოცხადების პროცედურები, თანამშრომელთა პირადი საქმეები და ა.შ.) დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ პროცესები მიმდინარეობს დოკუმენტში წარმოდგენილი პრინციპების მიხედვით.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

გარდა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა სკოლამ წარმოადგინა სსიპ მარტვილის მუნიციპაიტეტის სოფელ ლედგებეს საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები (დამტკიცებულიასკოლის დირექტორის 2023 წლის 21 აგვისტოს ბრძანება N 2-34-ით, ცვლილება შესულია დირექტორის 2024 წლის 11 იანვრის ბრძანებით N2-6). აღნიშნულ დოკუმენტში გათვალისწინებულია პრევენციული და ინტერვენციული მიდგომები. განსაზღვრულია თითოეული თანამშრომლის არყოფნის შემთხვევაში ვინ შეასრულებს მათ მოვალეობას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში კანონმდებლობის დაცვით არის გაწერილი პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა თანამშრომლის შერჩევის ორი შემთხვევის დოკუმენტაცია, რომელშიც წარმოდგენილი პროცედურები შეესაბამებოდა კანონმდებლობით დაგენილ წესებსა და პროცედურებს. თანამშრომლის შერჩევის შემდეგ სკოლა აფორმებს ხელშეკრულებებს, აწარმოებს თანამშრომელთა პირად.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და სკოლის მიერ კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლა უზრუნველყოფს შერჩეული პირების პირად საქმეში საკვალიფიკაციო მოთხოვნებში ასახული მტკიცებულებების არსებობას. თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლის თანამშრომლების კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლას მიერ შემუშავებულ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში, ერთერთი თავი ეთმობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ აღნიშნულ პროცესებში მნიშვნელოვანია გუნდური მუშაობის პრინციპი. ვიზიტის პროცესში სკოლის გუნდში პასუხისმგებლობა გადანაწილებული იყო და თანამშრომლობითი მიდგომებიც ნათლად იყო წარმოდგენილი, რაც დასტურდება კათედრების სხდომის ოქმებით, კათედრებს შორის თანამშრომლობით, ერთობლივი სასკოლო ღონისძიებებით, გაკვეთილებზე დასწრების რეფლექსიებით მშობელთა ჩართულობით სხვადსხვა აქტივობებსა და პროექტებში. სკოლაში მოწყობილია საერთო სამუშაო სივრცეები, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ეფექტურ კომუნიკაციას და თანამშრომლობას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლა აფასებს თანამშრომელთა მიერ მიღწეულ წარმატებას და მათ მიმართ იყენებს სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულ წახალისების ღონისძიებებს (მადლობის გამოცხადება, სიგელების გადაცემა და ა.შ). პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს და ღონისძიებებს. სკოლის დირექცია მართავს სამუშაო შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან. აღნიშნულ შეხვედრებზე მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, განიხილავენ სხვადასხვა გამოცდილებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;

- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- კათედრის ოქმები;
- გაკვეთილის რეფლექსიები.
- შეთანხმებები (შრომითი ხელშეკრულება).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლა ხელს უწყობს პერსონალს პროფესიულ განვითარებას. სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას დგინდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს პროფესიული განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა და აღნიშნული საკითხი დაწვრილებით არის ჩაშლილი სკოლის მიერ შემუშავებულ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში. მასწავლებლებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ ისინი ხშირად ესწრებიან ერთმანეთს წინასწარ დაგეგმილი განრიგის და გაკვეთილის შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას აქვს შეფასებისა და განვითარების მექანიზმები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო წლის ბოლოს კათედრებზე ხდება მასწავლებლების ანგარიშების წარდგენა, ანალიზის საფუძველზეც დგინდება ის მიმართულებები, რომელშიც მასწავლებლებს ესაჭიროება დახმარება. აღნიშნულთან დაკავშირებით გაწერილია კათედრის ფარგლებში სამოქმედო გეგმის ნაწილში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. კერძოდ, უზრუნველყოფს თანამშრომელთა მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში. მუდმივად აწვდის თანამშრომლებს ინფორმაციას მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგების ჩატარების შესახებ. 2025 წლის განმავლოაში სკოლის მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის დირექციასთან და თანამშრომლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ახლადმიღებულ თამანშრომელთან ფორმდება ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით და ამ პერიოდის წარმატებით გასავლელად მის მხარდაჭერას და პროფესიულ დახმარებას უზრუნველყოფს სკოლაში უკვე დასაქმებული, შესაბამისი გამოცდილების მქონე პირი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მიერ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა ეხმარება თანამშრომლებს იდეების განვითარებასა და რეალიზებაში. ამ მიზნით სკოლა ქმნის შესაბამის გარემოს, უზრუნველყოფს რესურსებითა და სათანადო პირობებით. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა და ურთიერთთანამშრომლობითი გარემო ხელს უწყობს სკოლის პერსონალის წახალისებასა და ინიციატივების განხორციელებას. ნებისმიერი მასწავლებლის მიერ შეთავაზებული იდეის განხორციელებაში ერთვება

სკოლის ყველა თანამშრომელი.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის სხდომის ოქმები
- თანამშრომელთა პირად საქმეებში განთავსებული სერტიფიკატები;
- კათედრის პორტფოლიოები.
- ურთიერთდასწრების და ანალიზის ამსახველი დოკუმენტები;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესების მართვა**
**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა რომელიც დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2023 წლის 21 აგვისტოს N2-26 ბრძანებით და 2024 წლის 12 იანვრის N2-9 ბრძანებით შესულია ცვლილებები. რომლის მიზანი დაწესებულების შიდა შეფასების მექანიზმების დანერგვაა. წესი მიზნად ისახავს სკოლის განვითარების ხარისხის მუდმივ მონიტორინგს, შეფასებასა და განვითარებას. სკოლის შიდა შეფასება ეფუძნება ციკლს ,,დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" დაგეგმე - გულისხმობს სკოლის საქმიანობის რომელი ასპექტი რა პერიოდულობით, რა თანმიმდევრობით და ვის მიერ უნდა განხორციელდეს. განახორციელე - გულისხმობს სკოლის საქმიანობის ხარისხის შეფასების განხორციელებას წინასწარ დაგეგმილი აქტივობებით. შეამოწმე - განხორციელებულ აქტივობებს ამოწმებს მონიტორინგის ჯგუფი და შედეგებს გააცნობს სკოლის დირექციას. გამოვლენილ მიგნებებს განიხილავს პედაგოგიური საბჭო. განავითარე - მონიტორინგის ჯგუფის ინფორმაციის საფუძველზე სკოლის დირექცია განსაზღვრავს გაუმჯობესების გზებს და შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლაში შექმნილია მართვის ერთიანი სისტემა. ფუნქციონირებს სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურა, რომლებიც ურთიერთთანამშრომლობით ხელს უწყობენ სკოლაში შექმნილი მართვის ერთიანი სისტემის დამკვიდრებასა და განვითარებას. საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებაში ჩართულია თითოეული სტრუქტურული ორგანო, რომელთა ერთობლივი მუშაობით, მათი კომპეტენციის ფარგლებში ხდება სასწავლო პროცესზე ზრუნვა და პროცესის წარმართვა შეუფერხებლად. თითოეული ორგანიზაციული სტრუქტურა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით დადგენილი წესის, კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ"საქართველოს კანონის, სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულებებში, ბრძანებებში განსაზღვრულია ის პირები, რომლებიც ახორციელებენ კონკრეტულ საქმიანობებს. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში (მუხლი 4) გაწერილი და განმარტებულია საგანმანათლებლო

საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, რაც დსამომავლოდ სასკოლო საზოგადოებას დაეხმარება პროცესების მნიშვნელობის უკეთ გააზრებასა და წარმატებულად წარმართვაში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის შინაგანაწესით დეტალურად არის განსაზღვრული სკოლის პერსონალის მიერ დისცპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში საკითხის განხილვის წესი, ასევე, უზრუნველყოფილია დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების

30

გასაჩივრების შესაძლებლობა. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების უფლებების დაცვის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს სკოლის მართვის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობას, განსაზღვრავს სპეციალური კომისიის შექმნის წესს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების და გარანტიების დაცვის მექანიზმები, რომელიც დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2023 წლის 21 აგვისტოს N2-24 ბრძანებით და 2024 წლის 11 იანვრის N2-4 ბრძანებით შესულია ცვლილებები. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია საჭიროების შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურები. გარდა აღნიშნული დოკუმენტისა გარდა ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც მესამე მუხლი არეგულირებს მხარეთა უფლება-მოვალეობებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (ბრძანება N2-9, 12/01/2024);
- შინაგანაწესი:
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი (ბრძანება N2-4, 11/01/2024);
- სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

ელექტრონული ჟურნალის საშუალებით მშობლები იღებენ შვილის აკადემიური შედეგების, საგაკვეთილო პროცესზე დასწრებისა და ქცევის შესახებ ინფორმაციას. მშობელთა კრებებზე ხდება რეკომენდაციებისა და შემოთავაზებების მიღება. სკოლის ადმინისტრაცია იღებს უკუკავშირს, აანალიზებს და რეაგირების მიზნით შეიმუშავებს შესაბამის აქტივობებს. სამეურვეო საბჭოს სხდომებზე წევრი მშობლები ჩართული არიან სკოლის მართვის პროცესებთან დაკავშირებულ განხილვაში. მათი მხრიდან მოცემული უკუკავშირი არის ორიენტირებული თანამშრომლობაზე და არსებული ვითარების გაუმჯობესებაზე. მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში (მუხლი3.პუნქტი1.3.) გათვალისწინებულია სკოლის ვალდებულება მშობელის/ კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ. ასევე სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლედგებეს საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების და გარანტიების დაცვის მექანიზმების მუხლი 2. მოსწავლისა და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების შესახებ ინფორმირება, გაწერილია აღნიშნული საკითხები.

აღნიშნულ კომპონენტთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია, სკოლას უნდა შეემუშავებინა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეგაირების მექანიზმი. რაც სკოლამ სრულად მოიყვანა შესაბამისობაში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში მოქმედ კოლეგიურ ორგანოებში, სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებში, დისციპლინურ კომიტეტში, მრჩეველტა საბჭოში გაერთიანებული არიან სასკოლო საზოგადოების წევრები, რომლებიც მონაწილეობენ მათ საქმიანობაში. სკოლის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში არიან მშობლები, მასწავლებლები და მოსწავლეები. დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობით მშობელი, მასწავლებელი, მოსწავლე(საშუალო საფეხური). პედაგოგიურ საბჭოში ყველა მასწავლებელია გაერთიანებული. დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლისათვის მეტად მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა და აღნიშნული მიმართულებით დაგეგმილია აქტივობები ინტერესებიდან გამომდინარე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების და გარანტიების დაცვის მექანიზმები (ბრძანება N2-4, 11/01/2024);
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები, რომელთა დათვალიერება და მონიტორინგი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ვალდებულებაა. სკოლაში არსებული ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა სრულად უზრუნველყოფს სკოლის შენობის როგორც შიდა ისე გარე სივრცეების კონტროლს. უსაფრთხოების ნაწილში სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით.

სკოლას ჰყავს დარაჯი. სკოლის დარაჯი აკონტროლებს სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა გადაადგილებას, უზრუნველყოფს ვიზიტორთა აღრიცხვას სარეგისტრაციო ჟურნალში.

სკოლამ წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნა N000196224 (N5000171324, 16.01.2024) შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებებილია, თუმცა სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო. შენობის ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ფუნქციონირება დასაშვებია. ამ საკითხთან დაკავშირებით გაცემული იყო რეკომენდაცია, რას სკოლამ შეასრულა.

სკოლის დერეფნებში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, ევაკუაციის პროცედურები, დამონტაჟებულია ცეცხლმაქრი ბალონები, სკოლაში გამოკრულია ხანძრის შემთხვევაში ქცევის წესები. სკოლას შენობა- ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მისაღებად ჰქონდა ზედამხადველობის მიწერილობა N451(01.11.2022).აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვების შესახებ, რაც ზედამხედველობის მიწერილობის შესრულების შედეგად იქნებოდა შესაძლებელი.

თუმცა ექსპერტების მიერ დასმულ კითხვაზე შესრულებული იყო თუ არა აქტით განსაზღვრული რეკომენდაციები, ჰქონდა თუ არა მიმოწერა აღნიშნულ საკითხებზე პასუხისმგებელ პირთან სკოლამ წარმოადგინა სკოლის მიერ ვიზიტის პერიოდში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გაგზავნილი წერილი (MES 3 25 0001737508, 05/12/2025). აღნიშნული ვითარების გათვალისწინებით **დგინდება, რომ სკოლას არ აქვს მოპოვებული შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.**

სკოლამ წარმოადგინა სსიპ მარტვილის მუიციპალიტეტის სოფელ ლედგებეს საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 17 ნოემბრის N 2-51 ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი არ არის შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია გეგმის შემუშავებისა და უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების შესახებ. **სკოლამ შეიმუშავა და დაამტკიცა გეგმა, თუმცა არ არის შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან.**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების პერიოდად 2026 წლის 26 დეკემბერი.
ასევე სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის 05 დეკემბრის წერილი N1737508 რომლითაც მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დადგენის შესახებ. აღნიშნული საკითხის მოგვარებაც სკოლას განსაზღვრული აქვს 2026 წლის 26 დეკემბერი.

რეკომენდაცია:

1.საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა სკოლამ შეათანხმოს უფლებამოსილ ორგანოსთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2026წლის 26 დეკემრამდე.

2.სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 2026 წლის 26 დეკემბრამდე მოიპოვოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლის შენობის პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ, 21 მარტი 2022წ. შესაბამისად და აკმაყოფილებს ბრძანებით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას. სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, რომელიც არეგულირებს პირველადი დახმარების აღმოჩენის წესსა და პროცედურებს. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები, რათა მათი ზუსტი შესრულებით შეუნარჩუნოთ ადამიანს ჯანმრთელობა. წარმოება დოკუმენტაციის ხდება ელექტრონულად (მოსწავლეთა ბაზები, ინფორმაცია აცრების შესახებ, ალერგიის შესახებ, მშობლების საკონტაქტო ინფორმაცია) და მატერიალურად. ექთანი აფიქსირებს აღრიცხვის ჟურნალში მის მიერ აღმოჩენილი დახმარების ფაქტებს. ექთნის

კომპეტენციები შეესაბამება ზემოთ აღნიშნული ბრძანების მოთხოვნებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვარის №06/ნ ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“. სკოლას არ ჰყავს მანდატური, თუმცა ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგ-კურსი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

ვიზიტის პროცესში სკოლამ წარმოადგინა კლასის დამრიგებლების სამუშაო გეგმები, რომელშიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ურთიერთობის საკითხებზე მსჯელობა, არადისკრიმინაციული გარემოს შექმნა, მათ ფსიქოლოგიური და ემოციურ მდგომარეობაზე ზრუნვა. სკოლაში იგეგმება და ტარდება ბულინგის და კიბერბულინგის პრევენციული ღონისძიებები. ტარდება დისკუსიები და შეხვედრებიაღნიშნულ საკითხებტან დაკავშირებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში მოწესრიგებული და უსაფრთხო გარემოა. სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი, რომელთაც გადანაწილებული აქვთ სასკოლო სივრცეები დასამუშავებლად. შენობის სისუფთავეს აკონტროლებს ექთანი. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი. სანიტარულ კვანძებში გამოკრულია აღრიცხვის ფურცლები, რომელშიც ასახულია რა სამუშაო უნდა შესრულდეს, ვინ ასრულებს და რა ინტენსივობით ხდება დასუფთავება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი, რომელიც პირის პერსონალური მონაცემების იდენტიფიცირებას ახდენს. დოკუმენტის თანახმად, სკოლა ვალდებულია მონაცემები შეაგროვოს კანონიერი საფუძვლით, კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნებისთვის, მხოლოდ ამ მიზნის მისაღწევად, აუცილებელი მოცულობით. სკოლა იცავს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობას და მოქმედებს სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, მონაცემები ატვირთულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საიტზე

https://pdps.ge/ka/content/1012/6343/ssip-qalaq-martvilis-municipalitetis-sofel-ledgebes%C2%A0-sajaro-skola

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის დირექციასთან გასუბრებით დგინდება, რომ ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვას ახორციელებს სკოლაზე განათლების საინფორმაციო მართვის სისტემების მიერ მომაგრებული IT სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული პროგრამების განახლებას, სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების ჩაწერას, კომპიუტერული ტექნიკის უსაფრთხო და ეფექტურ მუშაობას, სკოლის შიდა ქსელური სერვისების პროგრამულად გამართვას. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელშიც გათვალისწინებულია კომპიუტერული ტექნიკის უსაფრთხოება. სკოლა მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში მოსწავლეთა და პერსონალის შესახებ ინფორმაციის ასახვას Eschool–ის ბაზაში ახორციელებს საქმისმწარმოებელი. მოსწავლეთა პირად საქმეებთან წვდომა აქვს კლასის დამრიგებელს. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირად საქმეებთა, ხელშეკრულებები მშობლებთნ/კანონიერ წარმომადგენელთან, შრომითი ხელშეკრულებები ინახება სკოლის კანცელარიაში დახურულ კარადებში. აღნიშნულ დოკუმენტაციაზე წვდომაზე პასუხისმგებელი პირი არის საქმისმწარმოებელი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩევლთა საბჭო, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ ხდება მრჩეველთა საბჭოს შეხვედრები, რომელიც ზრუნავს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებაზე და მათ მიერ ხდება არსებული მექანიზმების პერიოდული შეფასება. ოქმებში წარმოდგენილია მრჩევეთა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები, რომელიც გამოიყენება ამ მექანიზმების გასაუმჯობესებლად.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N000196224 (N5000171324, 16.01.2024);
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გაგზავნილი წერილი (MES 3 25 0001737508, 05/12/2025);
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (სკოლის დირექტორის ბრძანება N2-51, 17/11/2025);
- პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები ( ბრძანება N2-5, 11/01/2024);
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება;
- https://pdps.ge/ka/content/1012/6343/ssip-qalaq-martvilis-municipalitetis-sofel-ledgebes%C2%A0-sajaro-skola

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

შენობა ერთსართულიანია აქვს: 3 შესასვლელი, საკლასო ოთახი, სამედიცინო კაბინეტი, ბიბლიოთეკა და სააქტო დარბაზი ერთსივრცეში, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, სამასწავლებლო, ლიფტი გარე სივრცეში და საერთო მოხმარების სივრცეებია მოწყობილი. საკლასო ოთახებში განთავსებულია სასკოლო ინვენტარი - მერხები, სკამები და დაფები. შენობაში არის სველი წერტილები(ადაპტირებულიც), სკოლის შენობაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლის ეზოში გარე სპორტული მოედანია. სააქტო დარბაზში განთავსებულია მაგიდის ჩოგბურთის მოწყობილობები. აღნიშნული ინფრასტრუქტურა აკმაყოფილებს ავტორიზაციით განსაზღვრულ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობისათვის სრულფასოვანი სასწავლო პროცესის წარმართვისათვის თანამედროვე მოთხოვნებს ორ ცვლაში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის მთელ ტერიტორიაზე შენობაშიც და ეზოშიც მოწყობილია კომფორტული მოსასვენებელი სივრცეები. შენობაში არის მრავალფეროვანი რბილი ავეჯია (სავარძლები, პუფები). შენობის მეორე სართულზე არის ჩოგბურთის მაგიდა, რომელსაც სპორტის გაკვეთილებზე რომელთა გამოყენება სპორტის გაკვეთილზეც ხორციელდება უამინდობის და ზამთრის პერიოდში. კომპიუტარული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია როგორც მასწავლებლების ასევე მოსწავლეებისათვის დადგენილი წესების შესაბამისად.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია ბიბლიოთეკის შიდა სივრცეში. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი. მასთან გასაუბრიბით დადგინდა, რომ იგი ინფორმირებულია ბიბლიოთეკის წესის შესახებ, შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის სამოქმედო გეგმა, აწარმოებს წიგნადი ფონდის აღრიცხვას, აქვს საინვენტარიზაციო ჟურნალი, ცალ-ცალკე აწარმოებს სახელმძღვანელოებისა და მხატვრული, სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურის აღრიცხვას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სასკოლო საზოგადოებას აქვს სრული ხელმისაწვდომობა ინფრასტრუქტურულ ერთეულებზე. სკოლა უზრუნველყოფილია მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო ინვენტარით. თითოეული მოსწავლისათვის გამოყოფილია ინდივიდუალური მერხი და სკამი, სახელმძღვანელოები. სკოლაში არ არის შშმ მოსწავლე, თუმცა თუ ჩაირიცხება მას ექნება წვდომა ნებისმიერ სივრცესთან (ლაბორატორიასთან, ბიბლიოთეკასთან, ექიმის ოთახთან, საკლასო ოთახთან) რადგან შენობა სრულად ადაპტირებულია, უზრუნველყოფილია პანდუსითა და ლიფტით. სკოლა აღჭურვილია სათანადო ინფრასტრუქტურით, არის კეთილმოწყობილი საპირფარეშოები. ასევე, ადაპტირებული საპირფარეშო შშმ პირთათვის.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის სივრცეები, ბიბლიოთეკა, ეზო, მოედანი გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიების, კონკურსების, ინტელექტუალური თამაშებისა და სპორტული შეჯიბრებებისათვის. სკოლის ფოიეში გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები. იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს სკოლის სოციო- კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ასევე, სკოლა აქტიურად იყენებს გარე სპორტულ მოედანს, სადაც უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მხრიდან სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში მონაწილეობის საშუალება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის შენობის აზომვითი ნახაზი;
- ბიბლიოთეკარის პირადი საქმე და ხელშეკრულება;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტაცია;
- 2024 წლის ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის შენობის სხვადსხვა სივრცე უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკით, მთელ შენობაში ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი. საკლასო ოტხებში განთავსებულია კომპიუტერები, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისათვის, ისე მასწავლებლებისთვის. სამასწავლებლოსა და სკოლის ბიბლოთეკაში განთავსებულია პერსონალური კომპიუტერები, რომლებიც სასწავლო მიზნებისთვის გამოიყენება. კანცელარიაში, ბუღალტერთან, სამასწავლებლოში განთავსებულია კომპიუტერები და მულტიფუნქციური პრინტერები, სკოლას აქვს პროექტორი, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლა ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომოდის, უსაფრთხოებისა და მისი მოვლა-პატრონობის მიზნით ხელმძღვანელობს სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესების მიხედვით. აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად არის წარმოდგენილი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის წესები. პედაგოგებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დასტურდება ინფორმაციული ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე გაკვეთილების დასრულების შემდეგ.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (ბრძანება)

**3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

დაწესებულება იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა Eflow-ს, სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool-ის ბაზებს. სკოლაში ინახება კანონმდებლობით დადგენილი ვადითა და წესით ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები, ბუღალტრული დოკუმენტაცია, ბრძანებები, შრომითი ხელშეკრულები, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. ექსპერტების მიერ შესწავლილი იყო ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა Eflow, სადაც დარეგისტრირებულია შემოსული, გასული წერილები, ბრძანებები (საკადრო და საერთო).
ვიზიტის პერიოდში სკოლის მიერ წარმოადგენილ ერთიან საქმისწარმოების წესი არ იყო სამართლებრივად გამართული დოკუმენტი.
დაწესებულების წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა, რომელშიც საქმისწარმოების წესის შემუშავების ვადად განსაზღვრული იყო 2025 წლის 26 დეკემბერი. ასევე დანართის სახით წარმოადგინა სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლედგებეს საქმისწარმოების წესი, დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2025 წლის 9 დეკემბრის N2-55 ბრძანებით. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. საქმისწარმოებასთან დაკავშირებით, სკოლა იყენებს Eflow სისტემას, სადაც ტარდება ყველა კორესპონდენცია, ბრძანებები, წერილები, განცხადებები, სამსახურებრივი ბარათები.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ექსპერტების მიერ მოხდა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პროფილის შესწავლა, რის შედეგადაც დგინდება, რომ სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი, რომელშიც სრულად არის ასახული მონაცემები სკოლის პერსონალისა და მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების შესახებ. პროფილის განახლება ხდება უწყვეტ რეჟიმში. განხორციელებულია საგნების განაწილება, შედგენილია ცხრილები, არჩეულია სახელმძღვანელოები, დაწესებულება კანონდმებლობით დადგენილ ვადებში უზრუნველყოფს ინფორმაციის ასახვას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულება დროულად აწვდის უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. შემოსული განცხადება თუ წერილი სკოლის დირექტორის მიერ ეწერება შესაბამის უფლებამოსილ პირს შემდგომი რეაგირებისათვის, რომელსაც განესაზღვრება ინფორმაციის დირექტორისათვის წარდგენის ვადა. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ხდება შესაბამისი რეაგირება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- Eflow-სკოლის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა
- eSchool გვერდი.

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი სკოლების პორტალზე https://skolebi.emis.ge/ , ასევე საზოგადოების ინფორმირებასა და კომუნიკაციას მასთან ახდენს სოციალური ქსელში არსებული სკოლის გვერდით, მესინჯერ ჯგუფებისა და სატელეფონო

კომუნიკაციის საშუალებით. აღნიშნულ კომპონენტთან დაკავშირებით გაცემული იყო რეკომენდაცია, სკოლის ვებ გვერდის საკომუნიკაციო საშუალებად გამოყენების შესახებ, რაც სკოლამ გაითვალისწინა და სრულად მოიყვანა შესაბამისობაში.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია შეესაბამება სკოლაში არსებულ რეალობას და, საჭიროების შემთხვევაში, სკოლას აქვს მისი დოკუმენტური დადასტურების საშუალება. ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხიმგებელია საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დაზუსტებას მისი გავრცელების წინ. სკოლის საზოგადოებასთან ინტერვიუს დროს მშობლებმა აღნიშნეს, რომ ელექტრონული ჟუნალით ხდება აკადემიური მოსწრების, შეფასების საკითხების შესახებ ინფორმირება, ხოლო ყველა დანარჩენი აქტივობებისა და განსახორციელებელი აქტივობების შესახებ კლასის დამრიგებლებისგან ხდება ინფორმაციის მირება.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

უკუკავშირის მიღება ხორციელდება სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმების საშუალებით. სკოლა ითვალისწინებს მიღებულ უკუკავშირს საკუთარი საქმიანობის გსაუმჯობესებლად.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

აღნიშნულ კომპონენტთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტების მიერ დასკვნაში გაცემული იყო რეკომენდაცია, რაც სკოლამ სრულად მოიყვანა შესაბამისობაში. ამ ეტაპზე სკოლას აქვს ვებგვერდი https://skolebi.emis.ge , რომელზეც ინფორმაცია ქართულ ენაზეა განთავსებული.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდზე წარმოდგენილია მისია, ხედვა ღირებულებები, პროგრამების სახელწოდებები, სტრუქტურა, სკოლის პერსონალის ფუნქცია მოვალეობები, ჩარიცხვის პროცედურები გასაჩივრების მექანიზმები. ფინანსურ მდგრადობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, ანგარიშები, მომავალი 2026 წლის შესყიდვების გეგმა წარმოდგენილია სრულად. აღნიშნულ კომპონენტთან დაკავშირებით გაცემული იყო რეკომენდაცია, რაც სკოლამ სრულად მოიყვანა შესაბამისობაში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- https://skolebi.emis.ge
- რემედიაციის დებულება (ბრძანება N2-08, 25/03/2025)
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი (პედსაბჭოს N1 სხომაზე დამტკიცებული 12/09/2025)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**
**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება სკოლა იღებს სახელმწიფო დაფინანსებას ვაუჩერის სახით. სკოლა ყოველწლიურად შეიმუშავებს ბიუჯეტს, რომელსაც ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 9 დეკემბრის ოქმი. ოქმში წარმოდგენილია 2024 წლის ფინანსური ანგარიშის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანგარიშის განხილვა და 2025 წლის ბიუჯეტის განხილვა. სკოლას შემუშავებული აქვს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესყიდვების გეგმა, სკოლის მიერ შემუშავებულია შესყიდვის განხორციელების წესი, განსაზღვრულია შესყიდვების კოორდინატორი, რომელსაც ევალება შესყიდვის პროცედურებთან დაკავშირებული მოთხოვნების სწორად განხორციელება. შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, კეთდება დასკვნა, რომ სკოლა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფს სასწავლო პროცესების მიმდინარეობას.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა სკოლას დამტკიცებული აქვს 2025 წლის ბიუჯეტი (2024 წლის 9 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი), რომლის მიხედვითაც ხდება სკოლის მიერ ფინანსური რესურსის ხარჯვა. დამტკიცებულ ბიუჯეტში შემოსავლების ზრდისა თუ შემცირების

ცვილებების შემთხვევაში იგივე პროცედურების უზრუნველყოფით ხდება ბიუჯეტის ცვლილების დამტკიცება სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლას აქვს შემუშავებული სახელმწიფო შესყიდვების გეგმა. ამასთანავე, შესყიდვების გეგმის ცვლილების შემთხვევაში ხდება აღნიშნული ცვლილების ბრძანებით დამტკიცება და ცვლილების ელექტრონულ EPLAN-ის ბაზაში ასახვა. სკოლაში ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური ინვენტარიზაცია. სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველი წლის დეკემბერში სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგენს და აცნობს ანგარიშს ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2024 წლის დეკემბრის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი
- 2025 წლის ბიუჯეტი
- სკოლის დირექტორის 2024 წლის ფინანსური ანგარიში;
- 2024 წლის ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- 2025 წლის შესყიდვების გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**

**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**

**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს უზრუნველყოფს სპეციალური წესი, რომელის განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების წევრების უფლება-მოვალეობებს. უზრუნველყოფილია თანამშრომელთა მიერ საკუთარი ვალდებულებების განხორციელება, უზრუნველყოფილია მოსწავლეებისათვის სასკოლო რეგულაციების/წესების გაცნობა.

ამავე მიზანს ემსახურება ასევე სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ეთიკის კოდექსი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი და პირობები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სასკოლო რეგულაციების გამჭვრივალობაზე მეტყველებს სკოლის ფოიეში გამოკრული შენაგანაწესი. ასევე, სკოლაში არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი რეგულაცია, რაც ემსახურება მოსწავლეთა უფლებების დაცვას. აღნიშნული დოკუმენტები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, მათ შორის, განათავსოს ვებგვერდზეც.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. მოსწავლესთან /მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა ხელშეკრულების ნიმუშები, რომლებიც გაფორმებულია მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. დადგინდა მათი შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგაწესი;
- სასკოლო საზოგადოების წევრების უფლებების დაცვის მექანიზმების დოკუმენტი;
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება;
- მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში.

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის გამჭვირვალე, მკაფიო, კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. აღნიშნულ პროცესებში სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებით დამტკიცებული წესით და მათ საფუძველზე შემუშავებული საკუთარი რეგულაციებით. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. სკოლაში შემუშავებულია შინაგანაწესი, სადაც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მათ დარღვევაზე პასუხისმგებლობის ფორმები. სკოლის ადმინისტრაცია, სკოლის დირექციასთან ერთად, შინაგანაწესის სრული დაცვით უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნას. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ შესაბამისად, სკოლაში დამტკიცებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ

ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, ასევე, განსაზღვრულია რეფერირების პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც შიდა წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას. ამასთანავე, სკოლაში შექნილია დისციპლინური კომიტეტი და სამეურვეო საბჭო, სადაც მოსწავლეები ახდენენ თავიანთი უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას. სკოლის თანამშრომლის ან მოსწავლის მიერ მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში, ტარდება ადმინისტრაციული წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და დარღვევის დადასტურების შემთხვევაში შესაბამის პირს ეკისრება დისციპლინური სახდელი. საჩივრის შემთხვევაში მოსწავლეს შეუძლია მიმართოს სკოლის ადმინისტრაციას, დირექციას, რომელთა მიერ ხდება სათანადო ღონისძიებების გატარება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

მოსწავლის კანონით გარანტირებული უფლებების დაცვის ამსახველი დოკუმენტი შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის თვალსაჩინო ადგილზე. აღნიშნულის გაცნობის უფლება აქვს ყველა დაინტერესებულ პირს. აღნიშნულ შინაგანაწესს იცნობს სკოლის ყველა თანამშრომელი. კანონით გათალისწინებული უფლებების დამდგენი დოკუმენტები, როგორიც არის მოსწავლეთა ქცევის კოდექსი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე, ასევე სადამრიგებლო პროგრამაში არის ვალდებულება აღნიშნული დოკუმენტი გააცნოს სწავლის დაწყებისას პირველ კრებაზე როგორც მოსწავლეს, ასევე მშობელს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი - სკოლის სერვისების შესახებ ასახულია ხელშეკრულებაში, რომელსაც ეცნობა მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი ხელშეკრულების გაფორმებამდე. სკოლის

წარმომადგენლების განმარტებით, ყველა დაინტერესებულ მშობელს აქვს შესაძლებლობა, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვამდე სკოლის ადმინისტრაციასთან დააზუსტოს ყველა საკითხი. სკოლის შენობაში საინფორმაციო დაფაზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია სკოლაში სწავლის პირობების შესახებ, სოლის პროგრამის, სკოლაში განხორციელებული აქტივობების/პროექტების შესახებ ინფორმაცია ასევე ასახულია სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის პერსონალი პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაციის გავრცელების დროს იცავს საქართველოს კანონმდებლობას. მიმდინარე საკანონმდებლო სიახლეებს სკოლა ეცნობა და ითვალისწინებს საკუთარ საქმიანობაში. სკოლის მიერ შეთავაზებული ყველა აქტივობა, რესურსი ისე არის შემუშავბეული, რომ არ შეილახოს მოსწავლის უფლებები და არ იყოს დისკრიმინაციული.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
- სკოლის საინფორმაციო დაფის ვიზუალური დათვალიერება;
- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში;
- სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

ინტრვიუს პროცესში მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაცია აღნიშნავს, რომ საწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობა სასწავლო პროცესის თანმდევი პროცესია. სკოლა ხელს უწყოფს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან, კერძოდ, სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილია ის აქტივობები, რომლებიც უნდა განაორციელოს დამრიგებელმა, რათა მოსწავლეს არ გაუჭირდეს სასკოლო გარემოში ადაპტაცია (კლასის საათები, ექსკურსიები, ერთობლივი პროექტები და ა.შ.). სკოლაში სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში ხდება ისგ ჯგუფების შექმნა, რომელთა მიერ ხდება მოსწავლეზე მორგებული ინდ. გეგმის შემუშავება. მოსწავლეებთან ურთიერთობს სპეცმასწავლებელი. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ზრუნავს, რათა მოხდეს მოსწავლეთა ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან. ამ მიზნით ეწყობა პირველ კლასში შემსვლელ მოსწავლეთათვის ღონისძიება, მათთვის სკოლის გაცნობა. თითოეული კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის სასკოლო გეგმის, დაგეგმილი აქტოვობების შესახებ ინფორმაციის

მიწოდებას, ასევე, აცნობს სკოლის შინაგანაწესსა და მათ უფლებებსა და მოვალეობებს. სკოლაში ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი თავისუფალი სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ ინოვაციური იდეების, ინიციატივების შესახებ მსჯელობა, გაანალიზება, შემდეგ კი დაგეგმვა და რეალიზება. ამასთანავე, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს მატერიალური რესურსითაც.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მოსწავლის კონსულტაცია და მხარდაჭერა უზრუნველყოფილია სასკოლო სასწავლო გეგმით, სადამრიგებლო პროგრამით, მასწავლებლების ფუნქციებით. მოსწავლის წინსვლასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას ემსახურება განმავითარებელი შეფასება, რომელიც გამოკვეთს რა გაუჭირდა მოსწავლეს და სად სჭირდება დახმარება. განმავითარებელი შეფასება ორივე სემესტრის ბოლოს დაწყებითი საფეხურის პედაგოგებს შეაქვთ ელექტრონულ ჟურნალში. ასევე კომენტარების სახით უწერენ რვეულებში, რომ გაეცნონ მშობლები. სხვადასხვა საფეხურზე იყენებენ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს. სკოლის პედაგოგები მოსწავლეს, რომელთანაც გამოიკვეთება საჭიროება დახმარებისა, სთავაზობენ კონსულტაციებს. დამატებით მეცადინეობას ინდივიდულაურად.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის ინფორმაციის დროულად მიწოდებას, რათა მათ საკუთარი უფლების დაცვის რეალიზების საშუალება ჰქონდეთ. კერძოდ, ხდება ინფორმაციის მიწოდება, უწევთ თუ არა სემესტრული გამოცდების, საშემოდგომო გამოცდების, ექსტერნის გამოცდების ჩაბარება. მიეწოდებათ ინფორმაცია მათი დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით გასაჩივრების უფლებისა და გასაჩივრების წესის შესახებ. ასევე, სკოლა დროულად აცნობებს მოსწავლეებს გაცდენის შედეგების შესახებ. აწვდის ინფორმაციას რომ შეუძლიათ სასკოლო ცხოვრებაში მიიღონ მონაწილეობა და ჩაერთონ

მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებში. 2025-2026 სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია გამოცდების ჩატარების, გაცდენილი შემაჯამებელი სამუშაოების აღდგენის წესი, ასევე შინაგანაწესში გაწერილია მისწავლის წახალისების და დისციპლინური სახდელის განხორციელების წესი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას - ადმინისატრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სკოლაში დამატებითი არაფორმალური აქტივობების სახით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა სახის აქტივობას. 2025-2026 სასწვლო წლის სასკოლო გეგმაში განსაზღვრულია სასკოლო კლუბების რაოდენობის გაზრდა. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება. სკოლას აქვს შემუშავებული მოსწავლეთა ექსკურსიების ჩატარების მექანიზმი. არაფორმალური განათლების ხელშეწყობა სკოლის ინტერესებში შედის. სკოლა ხელ უწყობს საკლუბო მუშაობას სკოლაში, მხარდაჭერილია პროექტები, მოსწავლეთა ინიციატივები, იდეები. ამჟამად სკოლაში მოქმედებს ori კლუბი (STEAM, სამოქალაქო განათლების), სკოლა ხელს უწყობს კლუბურ მუშაობას, ხელმისაწვდომია ტექნიკური აღჭურვილობა (კომპიუტერი, პროექტორი და სხვა) აღნიშნულს ადასტურებს მოსწავლეთა ჩართულობით სკოლაში განხორციელებული პროექტები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. სკოლას აქვს მზაობა, რათა მიიღოს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი სკოლის პროგრამების, წრეებისა თუ არაფორმალური აქტივობების შესახებ, მიღებული ინფორმაცია გაუზიაროს სასკოლო საზოგადოებას, რათა შეაფასონ

წარმოდგენილი უკუკავშირის შესაბამისობა და გაზიარების შემთხვევაში დასახონ მისი გაუმჯობესების გზები და გაითვალისწინონ შემდგომ სასწავლო პროცესში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სადამრიგებლო პროგრამები;
- სკოლის პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები;
- მოსწავლეთა მონაწილეობით სკოლაში განხორციელებული პროექტები.
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება.
- ღონისძიებების ფოტო .
- მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება.
- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გგმა

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა, მოსწავლეების კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერის მიზნით სადამრიგებლო პროგრამაში აღწერს მოსწავლეთა განვითარების, პროფესიული ორიენტაციისა და დასაქმების ხელშეწყობის აქტივობებს. ამ კუთხით, მე-9 -მე-10 კლასის მოსწავლეებთან ერთად დამრიგებლები აწყობენ ექსკურსიას, ლექციებს, ესწრებიან ღია კარის დღეებს, ფილმების ჩვენებას. აღსანიშნავია, რომ სკოლამ 2025 წლის ზაფხულში მოახდინა პროფესიული პროგრამის დამატება „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. კერძოდ, დამრიგებლები უზრუნველყოფენ კოლეჯებისა თუ უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული პროგრამების მოსწავლეებისათვის გაცნობას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. სკოლა მზად არის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესის დროს უზრუნველყოს სკოლაში განხორციელებული პროცესებიდან ძლიერი მხარეების და გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრის და მისი ანალიზის საფუძელზე მისი დაძლევის სტრატეგიაების შემუშავებისთვის. აღნიშნულის გამოკვეთაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კათედრების ანგარიშების და swot ანალიზი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- SWOT-ის ანალიზი;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- პროფესიული პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ კურიკულუმი.

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი - სკოლას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები და ასევე მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც შესაბამისობაშია ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანებასთან. სკოლაში აღიარებულია მრავალფეროვნება, მოსწავლეების ინტერესების გამოვლენის სხვადსხვა სტრატეგია და საგანმანათლებლო საჭიროებები. სკოლაში არის ხელმისაწვდომი გარემო: შეუფერხებელად არის შესაძლებელი მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვა; სასკოლო გარემო არის სრულიად ადაპტირებული, ფიზიკურ სივრცეში შემცირებულია ბარიერები. სკოლას ჰყავს 2 სსსმ მოსწავლე, რომლებთანაც მუშაობს სპეციალური მასწავლებელი, საგნებში შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს - სკოლა ახორციელებს ინკლუზიურ განათლებას. მას აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი (თუმცა არ აქვს რესურს-ოთახი) და ჰყავს შესაბამისი ადამიანური რესურსი. ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლას ჰყავს 2 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. შესაბამისად შექმნილია ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე მომუშავე ჯგუფი. ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ისგ-ს ჯგუფის სხდომის ოქმი.
- ისგ-ჯგუფის შექმნის ბრძანება
- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლას არ აქვს დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლას არ აქვს დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლას არ აქვს დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
სასკოლო სასწავლო გეგმა
შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....

თარიღი 31.12.2025წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: